სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

23 ივლისი, 2026 წ.

აკადემიური საბჭოს
დადგენილება № 06-01/125

ბსუ-ს 2026-2027 სასწავლო წლის აკადემიური კალენდრის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 08 ოქტომბრის №111 დადგენილებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დაადგინა:

1. 2026-2027 სასწავლო წელს ბსუ-ს სასწავლო პროცესი (ლექციები/ჯგუფში მუშაობა/სემინარები/ლაბორატორიული სამუშაო) საბაკალავრო, საბაკალავრო-სამაგისტრო, ერთსაფეხურიან, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე (გარდა ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამისა) წარიმართოს (აკადემიური კალენდარი განისაზღვროს) შემდეგ ვადებში:

1.1. **შემოდგომის სემესტრში:**

ა) სასწავლო პროცესი დაიწყოს **2026 წლის 28 სექტემბერს** და დასრულდეს **2027 წლის 23 იანვარს;**

ბ) სტუდენტთა აკადემიური რეგისტრაცია ან/და ცვლილებების შეტანა **დასრულდეს 2026 წლის 19 სექტემბერს;**

გ) საშობაო არდადეგები **გამოცხადდეს** 2026 წლის 28 დეკემბრიდან 2027 წლის 9 იანვრამდე;

დ) ძირითადი გამოცდები **ჩატარდეს** 2027 წლის 25 იანვრიდან 13 თებერვლის ჩათვლით, ხოლო დამატებითი გამოცდები - 2027 წლის 15 თებერვლიდან 20 თებერვლის ჩათვლით.

1.2. **გაზაფხულის სემესტრში:**

ა) სასწავლო პროცესი დაიწყოს **2027 წლის 15 მარტს** და დასრულდეს **2027 წლის 26 ივნისს;**

ბ) სტუდენტთა აკადემიური რეგისტრაცია ან/და ცვლილებების შეტანა **დასრულდეს** 2027 წლის 7 მარტს;

გ) ძირითადი გამოცდები **ჩატარდეს** 2027 წლის 28 ივნისიდან 17 ივლისის ჩათვლით, ხოლო დამატებითი გამოცდო - 2027 წლის 19 ივლისიდან 24 ივლისის ჩათვლით;

დ) კურსდამთავრებულთათვის კვალიფიკაციის მინიჭება **მოხდეს** 2027 წლის 7 აგვისტოს ჩათვლით.

2. სასწავლო პროცესი (ლექციები/ჯგუფში მუშაობა/სემინარები/ ლაბორატორიული სამუშაო) ჩატარდეს ყოველ დღე, გარდა შაბათ-კვირისა (საჭიროების შემთხვევაში დასაშვებია ამ მიზნით შაბათის გამოყენება), ფაკულტეტზე შემუშავებული სასწავლო ცხრილების შესაბამისად. აკადემიური საათი განისაზღვრება 50 წუთით, ხოლო მეცადინეობათა შორის შუალედი/შესვენება - 10 წუთით.

3. წინამდებარე დადგენილებით განსაზღვრულ 2026-2027 სასწავლო წლის აკადემიურ კალენდარში ცვლილებების საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი სამართლებრივი აქტი გამოიცეს ბსუ-ს რექტორის მიერ.

4. სასწავლო პროცესის დეპარტამენტმა უზრუნველყოს 2026-2027 სასწავლო წლის აკადემიური კალენდრის (თანდართული უქმე დღეების ჩამონათვალით) ცხრილის შედგენა და ბსუ-ს ვებგვერდზე განთავსებისათვის ბსუ-ს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურისათვის წარდგენა.

5. დადგენილება საჯარო გაცნობისათვის განთავსდეს ბსუ–ს საქმისწარმოების სამსახურთან (კანცელარიასთან) და ფაკულტეტების დეკანების ოფისებთან თვალსაჩინო ადგილებზე, ბსუ-ს პორტალზე, ბსუ–ს ვებგვერდსა და ოფიციალურ ფეისბუქ-გვერდზე, ასევე სახელმძღვანელოდ დაეგზავნოს ბსუ–ს ყველა სტრუქტურულ ერთეულს და მართვის ორგანოს.

6. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

7. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის ქ. №30).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი

ტიტე არუშიძე